ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ

11 აგვისტო, შაბათი, 1990 წ.
№ 150 (10 819) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო ქუცნიაშვილი

რა ახლოს იყო ემორე „ოქრო“...

დიდი დრო არ გასულა მას შემდეგ, რაც ნინო ქუცნიაშვილის წარმატება გაუწყეთ. ნინო საერთაშორისო ტურნირ „მეგობრობის“ პირველი ქართველი მონაწილე გოგონა იყო და საბჭოთა ძიუდოისტთაგან მხოლოდ მან გაიმარჯვა.

უნგრეთიდან დაბრუნებისთანავე ნ. ქუცნიაშვილმა კიშინიოვში იასპარეზა საბჭოთა კავშირის პირველობაზე სპორტსაზოგადოებებსა და უწყებებს შორის (მონაწილეობდნენ 1972-1974 წლებში დაბადებულნი).

მოლდავეთის დედაქალაქში ნინო ორ „ფრონტზე“ იბრძოდა — მძიმე წონაში და აბსოლუტურ კატეგორიაში. როგორც ჩანს, ჩვენი გოგონებიც ითვისებენ ჰიდაობის ამ სახეობას. საბუთად ჩვენ ნინოს გამოსვლებს მოვიშველიებთ. ჩატარებულ ხუთ შეხვედრას ნ. ქუცნიაშვილმა ცხრა წუთზე ცოტა ნაკლები დრო მოანდომა, მან ყველა შეხვედრა წმინდა გამარჯვებით დაამთავრა, აქედან, ფინალური და ნახევარფინალური შეხვედრები — მახრჩობელა ილეთით. ფინალური ორთაბრძოლა ლენინგრადელ მოჭიდავესთან ნინომ 30 წამში დაასრულა; აბსოლუტურ კატეგორიაშიც წინასწარ შეხვედრებში აშკარა უპირატესობით დაჯაბნა მეტოქეები. ფინალში იგი კიშინიოველ მოჭიდავეს ხვდებოდა, არაობიექტური მსჯობა რომ არა, ნ. ქუცნიაშვილი ორი ოქროს მედლით დაგვიბრუნდებოდა, მაგრამ საბოლოოდ „ვერცხლს“ „დაჯერეს“.

სოფელ დიღმის №1 საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლე ახლა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადისთვის ემზადება, რომელიც სულ მალე დაიწყება თბილისში. შემდეგ 15-18 ნოემბერს, მას ევროპის პირველობაზე მოუწევს ბრძოლა თურქეთის ქალაქ იზმირში.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

ბევრი ეჭვით უყურებდა, მაგრამ...

დაძაბული დღეებია თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს ჰიდაობის სპეციალიზებულ სპორტულ სკოლაში, რომელიც მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ფინალურ შეხვედრებს მასპინძლობს სამბოში.

შეჯიბრების პირველ დღეს დაბალი წონის მოჭიდავეები პაექრობდნენ. 38 კგ წონით კატეგორიაში ჩვენი გუნდის ღირსებას იცავდა ჯასპელი მოჭიდავე ნიკოლოზ რაზმაძე. პირველ წრეში იგი დამარცხდა, მაგრამ კიდევ ინარჩუნებდა შანსს — ებრძოლა პირველი ადგილისთვის. მეორე წრის შეხვედრა აქტიურად დაიწყო. პირველსავე წუთზე რვა ქულა აართვა მეტოქეს და დამაჯერებლადაც გაიმარჯვა. მესამე წრეში ახალგაზრდა მოჭიდავემ სათანადოდ ვერ შეაფასა მეტოქე, მინიმალური ანგარიშით — 3:2 დამარცხდა და სარბიელი დატოვა.

ქუთაისელი გიორგი გოჩელაშვილი (48 კგ) პირველი გამარჯვების შემდეგ მეორე წრეში დამარცხდა და ბრძოლა შეწყვიტა.

ახმეტელმა ვასილ ყორბეზაშვილმა (42 კგ) ბოლომდე მიიყვანა კარგად დაწყებული ასპარეზობა და პირველი „ოქრო“ შესძინა თავის გუნდს.

გოგონების ასპარეზობას ბევრი ეჭვის თვალით უყურებდა, მაგრამ სხვანაირი სურათი ვიხილეთ: ისინი არაფრით ჩამოუვარდებოდნენ ვაჟებს, შესანიშნავად ატარებდნენ ყველა ილეთს და, მათ შორის, მტკივნეულსაც.

სანახაობრივი თვალსაზრისით, გაცილებით საინტერესო გამოდგა ტურნირის მეორე დღე. თბილისელმა მიხეილ აბაშიძემ (45 კგ) შესაშური მონდომება და მაღალი ტექნიკა გამოავლინა. მის მიერ ჩატარებული ყველა ორთაბრძოლა განსხვავდებოდა ერთმანეთისგან, მსგავსება იყო მხოლოდ ერთში — არც ერთ მეტოქეს არ დაუტოვა წარმატების შანსი. მ. აბაშიძე ნახევარფინალურ შეხვედრას თერთმეტი ქულის სხვაობით იგებდა, მაგრამ პასიურ ბრძოლაზე არ გადასულა, პირიქით, იაქტიურა და მეტოქე მტკივნეულ ილეთზეც დაიჭირა. ფინალში იგი შეხვდა ყაზახეთის გუნდის წარმომადგენელს ბ. მუსაევს, ოლიმპიადაც ყველა წინასწარი შეხვედრა თავის სასარგებლოდ დაამთავრა. ორთაბრძოლა ორივე მოჭიდავემ ფრთხილად დაიწყო, პირველი ილეთი მუსაევმა წამოიწყო, მაგრამ მ. აბაშიძემ საპასუხო ილეთით ორი ქულა აართვა მეტოქეს, მისი უპირატესობა ამჯერადაც აშკარა იყო და, საბოლოოდ, გამარჯვებაც აბაშიძეს დარჩა.

შედარებით ფრთხილად, მაგრამ კარგად დაიწყო ასპარეზობა თბილისელმა ივანე არაბულმა (78 კგ). „მადა ჭამაში მოდისო“ და მანაც დამაჯერებლად განვლო გზა ფინალამდე. აქ კი მისი მეტოქე მოსკოველი პ. ტორბენკოვი გახლდათ. პირველ წუთებზე მეტოქემ მოახერხა ორი ქულის აღება, მაგრამ ი. არაბულის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან შეძლო მობილიზება, აქტიურად შეუტია და „ოქროც“ დაისაკუთრა.

გოგონათა შორის ამ დღეს დიდ წარმატებას მიაღწიეს სომხეთის გუნდის წევრებმა — მათ სამივე სინჯის მედალი მოიპოვეს.

ტურნირის მესამე დღეს თბილისელმა ბესიკ სინჯარაძემ (68 კგ) საკმაოდ ლამაზად იჭიდავა, მაგრამ ნახევარფინალურ შეხვედრაში ნაადრევად „დაწყნარდა“, მეტოქეს — ლენინგრადელ ს. ნიკოლაევს, მისცა საშუალება, იაქტიურა და, საბოლოოდ, მესამე ადგილზე გავიდა. ქუთაისელი ლევან ალფაიძეც (51 კგ) ნახევარფინალში დამარცხდა და ისიც ბრინჯაოს მედალს დაეუფლა.

ამ დღეს კიდევ ერთი ბრინჯაოს მედალი შემატეს ქართველმა სპორტსმენებმა თავიანთ აქტივს, ამჯერად გოგონებმა. თბილისელი ინგა ქარელიძე (55 კგ), ძირითადად, საუდოში ვარჯიშობს, მაგრამ მწვრთნელებმა გადაწყვიტეს ამჯერად სამბისტთა ტურნირში გამოეყვანა. ეს ახალი ამბავი არ გახლავთ წინათ ძიუდოისტ ბიჭებსაც „სეხულობდნენ“ სამბისტები. მხოლოდ ერთი შეხვედრა დათმო ინგამ, ის იც ფინალში გასასვლელი და, როგორც აღვნიშნეთ, ბრინჯაოს მედალს დაეუფლა.

ბია ბურდული

გუშინ...

კიდევ ორი მედალი შემატეს ქართველმა სამბისტებმა თავიანთ ნადავლს — 68 კგ წონით კატეგორიაში ბრინჯაოს მედალს დაეუფლა თბილისელი ირმა მელიქიშვილი, ვაჟთა შეჯიბრებაში ქარელელმა გიორგი ალასანიამაც (78 კგ) მესამე ადგილი დაიკავა.



ინგა ქარელიძე



ბესიკ სინჯარაძე



ლევან ალფაიძე

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.

საქართველოს ახალგაზრდული კავშირი:

მკლავჭიდელებს 10 ათასი ჩვენგან

8 აპრილს „ლელოში“ გამოქვეყნდა საქართველოს მკლავჭიდელთა ფედერაციის თხოვნა ფინანსური დახმარების თაობაზე. ცნობილია, რომ ჩვენი სპორტსმენები ცალკე გუნდად იასპარეზებენ მკლავჭიდელთა დიდ საერთაშორისო ტურნირში, რომელიც 18 და 19 აგვისტოს მოსკოვში გაიმართება.

საქართველოს გუნდს სპონსორობას გაუწევს საქართველოს ახალგაზრდული კავშირი. გუშინ ამ კავშირის თავმჯდომარემ გ. ბარამიძემ გვაცნობა, რომ მკლავჭიდელთა ფედერაციის ანგარიშზე 10 ათასი მანეთი გადაირიცხება.

ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი გიორგი ჩოჩიშვილი მოსკოვიდან ტელეფონით გვატყობინებს

„დიდი ჩემპიონატი“ და ჩვენი იმედები

სხვაბან არ ვიცი, მაგრამ ჩვენში მსოფლიოს ჩემპიონატის გაგონება მაინცდამაინც დიდ ემოციებს არ გამოიწვევს სპორტის მოყვარულთა შორის. ოღონდ ისინი იმით კი აუცილებლად დაინტერესდებიან, „რა ქნა ნინომ? რა გააკეთა თამაზმა?“. სპორტის ეს არც თუ ისე პოპულარული სახეობა ბოლო ხანს გულშემატკივართა შეგნებაში ძირითადად ამ ორი შესანიშნავი სპორტსმენის — ნინო სალუქვაძისა და თამაზ იმნაიშვილის — მიღწევებით სულდგმულობს, თუმცა რამდენიმე მათ თანაგუნდელსაც აქვს საკმაოდ სერიოზული წარმატებები.

მოსკოვში, როგორც უკვე იცით, ახლა მსოფლიოს მსოფლიო ჩემპიონატი მიმდინარეობს, რომელსაც „დიდ ჩემპიონატს“ უწოდებენ. საქმე ისაა, რომ, ჩვეულებრივ, ყოველ წელიწადს ცალ-ცალკე იმართება ასეთი დონის შეჯიბრებები პნევმატური იარაღი და ტყვიის სროლაში. მესტენდურებსაც თავისი ჩემპიონატი აქვთ, მაგრამ 4 წელიწადში ერთხელ ისინი ერთად იყრიან თავს და ერთ დიდ ჩემპიონატს მართავენ. აქ მოპოვებული მედალიც განსაკუთრებულად ფასობს.

იოლად მიხვდებით, რა დონის სპორტსმენები იმყოფებიან ახლა მოსკოვში. რჩეულთა შორის, ცხადია, არის ნინო მისი მუდმივი „დაუძინებელი“ მეტოქეებით — იუგოსლავიელ ოლიმპიურ ჩემპიონ იასნა სეკარიჩით და მსოფლიო რეკორდმენ ლიზელიტა ბრეკერით (გფრ), და კიდევ — 64 მეტოქე. ნინო და ეს კომპანია შეჯიბრებას დღეს იწყებენ პნევმატური პისტოლეტით, საღამოს კი ახალი ჩემპიონის ვინაობა გვეცოდინება. თუმცა, რატომ მაინცდამაინც ახალი? — შარშანდელ მსოფლიო ჩემპიონატში ხომ ნინომ გაიმარჯვა.

მსოფლიო ექსჩემპიონ თამაზ იმნაიშვილსაც იმდენი მეტოქე ჰყავს, რომ დაითვალო, სერიოზულად დაგაფიქრებს — 97 მონაწილე ასპარეზობს მრგვალ სტენდზე! ვის არ შეხვდები მათ შორის: ოლიმპიური, მსოფლიო თუ ევროპის ჩემპიონებს, სხვა ტიტულოვან მსროლელებს, თუმცა ჩვენი მესტენდურეც არანაკლებ სახელოვანია. იგი სეულის ოლიმპიადის შემდეგ განვლილ პერიოდში მხოლოდ წლეულს გამოვიდა ცეცხლის ხაზზე და მსოფლიო თასის გათამაშების ერთ-ერთი ეტაპიც მოიგო. ოღონდ, მოსკოვის მიტაშის სასროლეთზე, კიდევ ვიმეორებ, მას გაცილებით ბევრი და ძლიერი მეტოქე ჰყავს. შეჯიბრება მრგვალ სტენდზე გუშინ დაიწყო.

ნინოსა და თამაზის გარდა მსოფლიო ჩემპიონატზე იასპარეზებს კიდევ ერთი თბილისელი სპორტსმენი მაია გუბიევა. ისიც მესტენდურეა, ოღონდ ადგილიდან სროლაში გამოდის, რომელიც 16 აგვისტოს იწყება. ბოლო ხანს მაიამ დიდ წარმატებებს მიაღწია, ევროპის ჩემპიონიც გახდა გუნდურ პირველობაში და ღირსეულად დაიმსახურა ამ მნიშვნელოვან ტურნირში მონაწილეობის უფლება.

თამაზ იმნაიშვილს ასპარეზობის პირველ დღეს 75 გასროლიდან 2 სროლა გაუცუდდა და ჯერჯერობით 73 ქულა აქვს. მას უსწრებს 6 სპორტსმენი, რომელთაც 74-74 ქულა აქვთ, თუმცა მთავარი ბრძოლები წინაა. საბჭოთა კავშირის ნაკრებმა 217 ქულა მოაგროვა და 4 ქულით ჩამორჩება დაწინაურებულ კუბის გუნდს.

მედლის მეორე მხარე

სიეტლში კეთილი ნების თამაშების დახურვის წინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალურმა მრჩეველმა, ავსტრიელმა ჰანს იანიჩეკმა ამ ორგანიზაციის ჟურნალისტთა საზოგადოების საგანგებო პრიზი გადასცა ტედ ტერნერს, ამერიკელ ბიზნესმენს, აშშ-ის ერთ-ერთი უდიდესი ტელეკომპანია ტიბი-ესის პრეზიდენტს, კაცს, რომელიც დიდ დროს და სახსრებს ახმარს საქველმოქმედო საქმიანობას. ახლა აღარავის ეეჭვება, რომ ტედ ტერნერი, რომელმაც ასე ბრწყინვალედ შეუხამა ერთმანეთს ბიზნესმენის, ჟურნალისტისა და კეთილი ნების იდეების ზორცშესხმისთვის მზრუნველის ფუნქციები, უეჭველად შევა ისტორიაში. შევა სპორტის მეშვეობით ორი უდიდესი სახელმწიფოს — აშშ-ისა და სსრ კავშირის დაახლოებისა და კრიზისში მოქცეული ოლიმპიური მოძრაობის გადასარჩენად გაწეული ნაყოფიერი საქმიანობით. ტერნერის დაჯილდოება თავისთავად დიდი ამბავი იყო, მაგრამ ეს ფაქტი უფრო დიდი მოვლენის პრელუდიად იქცა. მეორე დღეს ტერნერი წამოაყენეს ნობელის პრემიის ლაურეატობის კანდიდატად. ეს უდავოდ უპრეცედენტო შემთხვევაა და უდიდესი პატივია.

ჩვენ დიდხანს ვიმეორებდით, რომ პოლიტიკასა და სპორტს თითქოს საერთო არაფერი აქვთ. ეს — სიტყვით, სინამდვილეში კი თურმე ორივე ერთ რგოლშია ჩაბმული. ახლა ღიმილსაც კი იწვევს ყალბი გამოთქმა: „სპორტი — პოლიტიკის გარეშე!“ ყოველ შემთხვევაში, კეთილი ნების თამაშების არცთუ დიდი ხნის ისტორია იძლევა ასეთი დასკვნის საფუძველს.

70-იანი წლების დამლევს, განსაკუთრებით კი 80-იანი წლების დასაწყისს უმძიმეს პერიოდში, სპორტი და პოლიტიკა ერთმანეთთან მჭიდროდ გადაინასკვა. ცხადია, გახსოვთ, მოსკოვის ოლიმპიური თამაშები, 1980 წელი. მაშინ ამ უდიდეს სპორტულ ფორუმზე არ ჩამოვიდნენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ამ ქვეყნის პოლიტიკის მომხრე სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლები. მოკლედ, მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებში მხოლოდ სოციალისტური ბანაკის ქვეყნებმა მიიღეს მონაწილეობა. „კბილი — კბილის წილ!“ წინ იყო ლოს-ანჯელესის ოლიმპიადა. და, რაკი იმ ოთხწლეულში მსოფლიოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მაინცდამაინც მნიშვნელოვანი სასიკეთო ცვლილებები არ მომხდარა, საბჭოთა კავშირმა და მისმა „ძმადნაფიცმა“ ქვეყნებმა ამერიკელებს სამაგიერო გადაუხადეს. ახლა ამერიკის კონტინენტზე ჩატარდა ოლიმპიური თამაშები დიდი სპორტული სახელმწიფოების გარეშე.

მსოფლიო ოლიმპიური მოძრაობა იმ ხანებში ღრმა ჩიხში აღმოჩნდა. შეიქმნა საფრთხეც, რომ ეს მოძრაობა საერთოდ დაიშლებოდა. და აი, ამ დროს გამოჩნდა პიროვნება, რომელიც ორ ბანაკად გაყოფილ მოჭიშპე მხარეებს შორის ჩადგა. ისევ ამერიკელებმა გამოიჩინეს მიმტევებლობა, შეგვინდეს, ხელი გამოგვიწოდეს. ახლა შეიძლება თამამად ითქვას: რომ არ ყოფილიყო კეთილი ნების თამაშები, 1988 წელს არ იქნებოდა სეულის ოლიმპიადა, სადაც კვლავ შეიკრიბა მსოფლიო სპორტული ელიტა. შუამავალმა, რომელმაც შემრიგებლის ფუნქცია იკისრა, იმედი გაამართლა. ასევე დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ არ ყოფილიყო სეულის ოლიმპიური თამაშები, შესაძლოა შენელებულიყო ის უდიდესი პოლიტიკური ძვრები, რაც 1988 წლის შემდეგ ესოდენ თვალსაჩინო გახდა მთელს მსოფლიოში. მარტო ის რად ღირს, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან აქტიურ ურთიერთობას მოკლებულ სამხრეთ კორეასთან, ამ უაღრესად საინტერესო და ეკონომიკურად უმძლავრეს ქვეყანასთან, სეულის ოლიმპიადის შემდეგ სამოყვარო ხიდები გაიდო. აღდგა ნდობა, რაც ყველა სფეროში ურთიერთკავშირის თავიდათავია.

მაშ ასე, ტედ ტერნერი — თანამედროვე ოლიმპიური მოძრაობის გადასარჩენად მოვლენილი პიროვნება — დღეს ისევე ცნობილი გახდა მთელს მსოფლიოში, როგორც თავის დროზე ის ადამიანები იყვნენ, მივიწყებული ოლიმპიური თამაშების აღდგენისთვის რომ ზრუნავდნენ. ამერიკელებმა იციან თითოეული დოლარის ფასი, მაგრამ სიკეთისთვის, იმისათვის, რომ მათი ბედნიერი ცხოვრების ცა არ მოიქუფროს, დიდ პირად ხარჯებსაც არ ერიდებიან. ტედ ტერნერმა ათეულობით მილიონი დოლარი გაიღო კეთილი ნების თამაშებისთვის, ოლიმპიზმის იდეებისა და, საერთოდ, სპორტის, როგორც მშვიდობის დესპანის გადასარჩენად.

რაკი კეთილი ნების თამაშების საკაცობრიო მნიშვნელობაზე მოკლედ უკვე ვთქვით, აქვე უნდა გაეცეს პასუხი კითხვას: არის თუ არა მომავალში აუცილებელი ამ თამაშების ჩატარება? აზრთა სხვადასხვაობა აშკარაა. ზოგიერთებს, მათ შორის საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობას და წევრებს, ყველაზე მეტად ის აშინებთ, ვაითუ ეს თამაშები ერთგვარად ოლიმპიადას დაუპირისპირდეს, ალტერნატიულ ასპარეზობად იქცესო.

სიეტლში თამაშების დამთავრებამდე რამდენიმე დღით ადრე გამართულ ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე ამ თემაზე არაორაზროვნად დასვეს შეკითხვა როგორც უცხოელმა, ისე საბჭოთა ჟურნალისტებმა, საკავშირო სპორტსახკომის ხელმძღვანელობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ასეთი თამაშები საჭიროა და ხელს არ უშლის ოლიმპიურ მოძრაობას.

— მაშინ გვითხარით, ვის უფრო ესაჭიროება ეს თამაშები — სპორტს თუ პოლიტიკას? — იკითხა გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ მთავარმა რედაქტორმა ვ. კუდრიავცევმა.

— სპორტსაც და პოლიტიკასაც, — იყო პასუხი.

არ შევუდგებით იმის ანალიზს, რამ გამოიწვია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შეშფოთება. ის ფაქტი, რომ სოკ-ის არც ერთ წარმომადგენელს ოფიციალურად არ მიუღია მონაწილეობა თამაშების საზეიმო გახსნის ცერემონიალშიც კი, ბევრს მეტყველებს. ახლა სიეტლში ვერ ნახავდით იმ მსხვილ ფირმებს, რომლებიც, ჩვეულებრივ, ოლიმპიურ თამამებში დიდ როლს თამაშობენ როგორც სპონსორები, და მუდამ მხარში უდგანან ორგანიზატორებს.

სხვათა შორის, ზემოხსენებულ პრეს-კონფერენციაზე ერთმა იტალიელმა ჟურნალისტმა ისიც განაცხადა, რომ კეთილი ნების თამაშებს ოლიმპიადებისთვის სპორტსმენთა მზადების ოთხწლიან ციკლში დისონანსი შეაქვს და ამაზე დაფიქრება მართებთ ორგანიზატორებსო. არის კიდევ ერთი ხელშესახები მიზეზი... სად საზაფხულო თამაშები და სად სპორტის ზამთრის სახეობები, რომელიც ასპარეზობის პროგრამაში შედის... იმ იტალიელმა ჟურნალისტმა ისიც თქვა: თქვენ რა გენაღვლებათ, სახელს იხვეჭთ სპორტსმენებსა და სპეციალისტებს, რატომ არ უკითხეთ რჩევასო?

სურვილი იყოს, ორივემ, როგორც ორივ იტყვიან, პიზუნა ყოველთვის გამოინახება. აი, ეს მიზეზიც: კეთილი ნების თამაშები დიდი საჩუქარია იმ სპორტსმენებისთვის, რომლებიც თავიანთი მზადების პიკს სწორედ ოლიმპიადების შემდეგ აღწევენო. სპეციალისტები, ცხადია, სხვაგვარად ფიქრობენ.

დღეს ძნელია გადაჭრით ითქვას, ჩატარდება თუ არა მომავალში ასეთი თამაშები. ყველაფერი ფინანსებზეა დამოკიდებული. ტედ ტერნერი მზადაა კვლავაც ითანამშრომლოს სსრ კავშირის სპორტსახკომთან. საბჭოთა მხარე თანახმაა და ამ ასპარეზობის ამერიკელ ფუძემდებლებზე მეტადაა დაინტერესებული იმით, რომ თამაშები რაც შეიძლება დიდხანს შემორჩეს მსოფლიო სპორტულ ღონისძიებათა კალენდარს. სხვათა შორის, სიეტლის თამაშებზე,



როგორც ამბობენ. ტედ ტერნერმა 26 მილიონამდე დოლარი ზარალი ნახა, საბჭოთა ქვეყანამ კი 7 მილიონი დოლარი მიიღო ასპარეზობაში მონაწილეობისათვის.

ერთი სიტყვით, დღესდღეობით ორივე მხარე — როგორც საბჭოთა კავშირი, ისე აშშ — ერთხმად აცხადებს, რომ კეთილი ნების მესამე თამაშები აუცილებლად უნდა ჩატარდეს. თუ მოვლენებს ღრმად ჩავუფიქრდებით, უეჭველ მივალთ იმ დასკვნამდე, რომ აქ მედლის მეორე მხარე უფრო მთავარი და მნიშვნელოვანია, ვიდრე თვით სპორტული ინტერესები. საბჭოთა მხარისთვის თუ ვალუტაა მთავარი, ამერიკელები თანხებს „ხელგაშლით“ იხდიან სახელისათვის. მედლის მეორე მხარეზე მთავარი კი, ვიმეორებთ, ალბათ მაინც ისაა, რომ კეთილი ნების თამაშებმა მსოფლიო იხსნა გათიშვისაგან, უნდობლობის ყინული გაადნო, ერთგვარად გაათბო საერთაშორისო ატმოსფერო, ყოველ შემთხვევაში, იმ ორი სახელმწიფოს მკვიდრნი დააახლოვა ერთმანეთს, რომელთა ურთიერთობასა და განწყობაზეც დიდადაა დამოკიდებული მსოფლიოს ბედი.

თენგიზ გაჩეჩილაძე

სიეტლი-თბილისი.

გაგრძელება იქნება.

ტურნირის ექო

ვის გაუკვირდა, ვის—არა

ამ ცნობამ ბევრი გაახარა და გააკვირვა კიდეც: ჰოლანდიის ქალაქ მეიდენში გამართულ 18 წლამდე ასაკის აფროსანთა მსოფლიო პირველობაზე ბათუმელი კარინე ბაღდასაროვა ბრინჯაოს მედალს დაეუფლა.

გახარებაც ბუნებრივია და გაკვირვებაც. სასაცილოც კია იმის თქმა, ჩვენი ახალგაზრდა აფროსნები მსოფლიო პირველობებზე მიღწეული წარმატებებით არ გვანებივრებენო. მსოფლიო პირველობებზე გამოსვლებით განებივრებას ვინ დაეძებს, ნეტავი საკავშირო ჩემპიონატებით, ან თუნდაც ასე თუ ისე პრესტიჟული რეგატებით გვახსენებდნენ თავს. ერთადერთი, ვინც ამ ბოლო ხანს ეს „ტრადიციი“ დაარღვია, სწორედ კარინე ბაღდასაროვა გახლდათ. საქართველოს საზღვაო სანაოსნოს სპორტკლუბის ბავშვთა და მოზარდთა საწყოსნო სპორტსკოლის აღზრდილი (მწვრთნელი ალექსანდრე მაზუროვი) ჯერ მხოლოდ 16 წლისაა და უკვე მიაღწია თვალსაჩინო სპორტულ შედეგებს — საკავშირო ჩემპიონატისა და IV ახალგაზრდული თამაშების ვიცე-ჩემპიონია „ვინდგლაიდერის“ კლასში, ვერცხლის მედალს დაეუფლა საკავშირო თასის გათამაშებაშიც. ჩვენი აფროსნობის „უღიმღამო პეიზაჟის“ ერთფეროვნებას მისმა ამ მიღწევებმა კი დაამჩნია კვალი, მაგრამ ერთი ნათელი ფერი, მოგეხსენებათ, მთლიან თალხ ფონს ვერ გამოაცოცხლებს. ამიტომ იყო, ბევრს რომ გაუკვირდა, — ეს ვინ ყოფილაო. საქმეში ჩახედულთათვის კი ქ. ბაღდასაროვას მსოფლიო პირველობაზე გამგზავრება და იქ მოპოვებული ჯილდო მოულოდნელი სულაც არ გახლავთ. უფრო მეტიც: მისგან უკეთესი შედეგიც არ გაუკვირდებოდათ და მეიდენშიც საქმე ისე აწყობილა რომ...

აი, რა გვიამბეს აკარის სპორტსახკომში:

როცა ცნობილი გახდა, რომ ქ. ბაღდასაროვა მსოფლიო პირველობაზე გამოვიდოდა, მას სასწრაფოდ, რამდენიმე დღეში მოუხდა მისთვის ახალი აფრიანი დაფის მოდიფიკაციის „მისტრალის“ ათვისება (ადრე იგი „ვინდგლაიდერით“ გამოდიოდა). ნიჭიერ აფროსანს ეს არ გასჭირვებია, რაზეც ნათლად მეტყველებს მეიდენის მსოფლიო პირველობის ოქმი. მსოფლიოს რჩეულ ახალგაზრდა აფროსანთა ამ რეგატის პროგრამით გათვალისწინებული იყო 9 რბოლა. პირველ რბოლაში კარინემ პირველი ადგილი დაიკავა, თავი არც მეორე და მესამე რბოლებში შეურცხვენია — შესაბამისად მეორემ და კვლავ პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი. მეოთხე რბოლაში მეექვსე იყო, მეხუთეში — ისევ მეორე, მეექვსეში — მესამე და მეშვიდე რბოლაც მეორე შედეგით

დასრულა. როცა მსაჯთა კოლეგიამ მეშვიდე რბოლის შედეგების ცხრილი გამოაქვეყნა, გულდამშვიდებულმა სპორტსმენმა და მისმა მწვრთნელმა სასტუმროს მიაშურეს. ორი საათის შემდეგ უკან მიბრუნებულებს დახვდათ ახალი ცხრილი, რომლითაც შეიტყვეს, რომ ამ რბოლაში კარინეს შედეგი გაუქმებული იყო (დისკვალიფიკაცია). ვერავინ გაიგო, რა მოხდა. ეტყობა, მსაჯებმა ძალზე მკაცრად შეაფასეს კარინეს ამ რბოლაში გამოსვლა. პროტესტის შეტანა დაგვიანებული იყო — საქმე ისაა, რომ პროტესტი რბოლის დამთავრებიდან ნახევარი საათის ვადაში უნდა დაიწეროს. ამის შემდეგ კარინემ ბოლო ორ რბოლაში მეორე და მესამე ადგილები დაიკავა, მაგრამ იმ დისკვალიფიკაციით გამოწვეულ დანაკლისს როგორღა შეავსებდა. ასე რომ, მხოლოდ ბრინჯაოს მედალსღა დასჯერდა.

ასე თვალსა და ხელს შუა დაიკარგა ოქროს მედალი, მაგრამ რაც არის, არის — მსოფლიო პირველობის „ბრინჯაოც“ დიდი წარმატებაა. მივულოცოთ ახალგაზრდა აფროსანს ეს წარმატება და უფრო იღბლიანი სტარტები და სამომავლო გამარჯვებები ვუსურვოთ მას.

შუხრან კობალაძე,

„ლელოს“ ხაკ. კორ.

ბათუმი.

რ. ფალავანდიშვილის ფოტო.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ჯგუფი

„გურია“ (ლანჩხუთი) — „ლიხვი“ (ცხინვალი) 5:1 (4:1)

ლანჩხუთი. „გურიის“ სტადიონი. აგვისტო.

„გურია“: აბუხერიძე, მიქაბერიძე (კვინტარაძე), კაბისაშვილი, გუბაძე, მოუციკანი, ჩხაიძე, ბარათაშვილი, ფრიდრიკანი, კორღალიძე, ბერიდონაშვილი (ქურიძე), უგრელიძე (ლორია).

„ლიახვი“: სანაკოევი, ვ. გობოზოვი, კახნიაშვილი, ი. გობოზოვი, ბოთოევი, მიხაილოვი, ძაგოევი (ქოლოევი), მარგიევი, ან. ჯიოევი, ჯუმურიძე, ალ. ჯიოევი.

მსაჯები: ნ. კილაძე (თბილისი), ბანიკიძე (ქუთაისი), მ. ჯულაყაია (სამტრედია).

„ლიახვს“, როგორც ჩანს, მეოთხე წრის ჩატარებაც სტუმრად მოუვა — დაპირება დაპირებად რჩა, ცხინვალში ვერა და ვერ ასწავლა სტადიონი. ლანჩხუთელებმა წელს უკვე მეორედ მიიღეს „ლიხვი“, რომელიც კალენდრის მიხედვით ამ შეხვედრის მასპინძელი უნდა ყოფილიყო.

ალბგის აუტსაიდერთან „გურიის“ ბიჯედრას დიდი ინტერესი არ გამოუწვევია ლანჩხუთელ გულშემატკივრებში — მაყურებელი სტადიონზე ალბარც ისე მრავლად მოვიდა. თამაშის პირველსავე წუთზე ცხინვალელთა მიერ წამოწყებულ კომბინაციაში „უცერემონიოდ ჩაერია“ ფრიდრიკანი, რომელმაც მეტოქეთა უზარმაზარ ტერიტორიაზე გათამაშებული ბურთი „მოიტაცა“ და ანგარიშიც გახსნა. ბურთიდან ნაწილი კაბისაშვილის წაგებული იერიში გოლით დაასრულა ფრიდონაშვილმა; ათიოდე წამის შემდეგ კი მანვე კარგად გაკეთებული კორღალიძის გადაცემა — 2:0. პირველი სახიფათო მომენტი ცხინვალელებმა 24-ე წუთზე შექმნეს, მაგრამ ჭუმბურიძის მიერ დაგზავნილ ბურთს იოლად დაეუფლა აბუხერიძე. ტაიმის მიწურულს ი. გობოზოვმა შეძლო ერთი საპასუხო ბურთის გატანა, მაგრამ შესვენებამდე წამებიღა რჩებოდა, როცა გუბაძე-ფრიდონაშვილ-ფრიდრიკასის კომბინაცია ამ უკანასკნელის ზუსტი დარტყმით დაგვირგვინდა.

მეორე ტაიმი შედარებით უინტერესოდ და უფერულად წარიმართა, ოღონდ რომ, მოედანზე ახალშემოსულები ახალგაზრდა ლანჩხუთელი ფეხბურთელები — კვინტარაძე და ქურიძე, ცდილობდნენ ანგარიშში სხვაობის გაზრდას. თამაშის დამთავრებამდე 6 წუთით ადრე კორღალიძემ მეხუთე ბურთი გაიტანა „ლიახვის“ კარში.

ინგა ჩახვაშვილი,
„ლელოს“ სპეც. კორ.

„იბერია“ (თბილისი) — „გორდა“ (რუსთავი) 0:1 (0:0)

თბილისი. ეროვნული სტადიონი. 9 აგვისტო.

„იბერია“: ხაპოვი, მაჭავარიანი, ცხადაძე, ჭედია, ჯიშკარიანი, რევიშვილი (შონია), ქეცბაია, ჩიქოვანი, კაჭარავა (უიზლაშვილი), გურული, გოგიჩაიშვილი (ჯამარაული).

„გორდა“: ქორიძე, ფირცხალავა, ავაქიანი, კუდინოვი, ქახრაშვილი, აფციაური, ტ. კაპანაძე, კილასონია, ა. კაპანაძე, ფანცულაია (დიმიტრიშვილი), მიქაშავიძე.

მსაჯები: ე. ხილაგავა, ს. შალამბერიძე, ო. გუნთაძე (ხამიევ —თბილისი).

გააფრთხილეს ქახრაშვილი („გორდა“) და გურული („იბერია“).

თბილისელი და რუსთაველი ფეხბურთელები გათამაშების სათავეში არიან და ორივე ჩემპიონატის ფავორიტად ითვლება. აქედან გამომდინარე, ვფიქრობდით, რომ მატჩი დაძაბულად, უშეღავათოდ და, რაც მთავარია, საინტერესოდ წარიმართებოდა, მაგრამ პირიქით მოხდა, ძნელად თუ დაიჯერებდით, რომ მინდორზე ლიდერები, ჩვენი საუკეთესო გუნდები ებრძოდნენ ერთმანეთს. მართალია, ზოგიერთ ეპიზოდში შეიმჩნეოდა ცალკეულ ფეხბურთელთა აქტიურობა (კილასონია, აფციაური, ფანცულაია, გურული, ჯიშკარიანი), მაგრამ ამას მატჩის შედეგზე არ უმოქმედია, ფეხბურთელები ფრთხილობდნენ და უმთავრესად მრავალჯერ გათვლილი, საიმედო კომბინაციების წყალობით „გადიოდნენ ფონს“. ასე ჩაიარა შეხვედრის პირველმა ნახევარმა.

მეორე ტაიმის დასაწყისში რუსთაველები აშკარად გააქტიურდნენ, განსაკუთრებით კილასონია, რომელმაც არაერთი ხიფათი შეუქმნა თბილისელთა კარს.

55-ე წუთზე მასპინძელთა მცველებმა საჯარიმო მოედანზე „მოცელეს“ გარღვევაზე გასული მიქაშავიძე. დაინიშნა პენალტი, რომელიც უნაკლოდ შეასრულა ფანცულაიამ და სტუმრები დაწინაურდნენ — 1:0. გაშვებული ბურთის შემდეგ თბილისელები თითქოს უნდა გამოცოცხლებულიყვნენ, მაგრამ უპირატესობას ისევ რუსთაველები ფლობდნენ, თუმცა რამდენადმე რეალური საგოლე მომენტი აღარ შექმნილა. შეხვედრის მიწურულს მასპინძლები, რაკი დაინახეს, სხვა გზა არ იყო, შეტევას შეტევაზე ახორციელებდნენ, მაგრამ გურულისა და ჯამარაულის მცდელობას, აეღოთ ქორიძის კარი, შედეგი არ მოჰყოლია.

ლევან ჯავახიშვილი

„ბათუმი“ (ბათუმი) — „დილა“ (გორი) 4:2 (2:1)

ბათუმი. ცენტრალური სტადიონი. 9 აგვისტო.

„ბათუმი“: ბალაძე, ვ. მახარაძე, მჭედლიშვილი, დურდიაძე, კიკლიაშვილი. (კულუმბეგოვი), ზედანია, მ. მახარაძე, მაჭუტაძე (უჯმაჯურიძე), შანიძე (შეუილაძე), ტუღუში, მაისურაძე.

„დილა“: ჩოჩიევი, მელქაძე, გაგნიძე, ქობეხოვი, ანიაშვილი (კოშკაძე), შავდათუაშვილი, მარეხაშვილი, ვალიაშვილი, გაზაშვილი (მარგარიში) გათანაბრდა — 1:1. ამის შემდეგ კიდევ ორჯერ დარჩა ტუღუში მეკარესთან პირისპირ, მაგრამ ვერ გამოიყენა კარგი შესაძლებლობები. 36-ე წუთზე კვლავ შესანიშნავად ითამაშა მაისურაძემ, რომლის მიერ ჩაწოდებულ ბურთს მალალ ნახტომში თავით მისწვდა მ. მახარაძე და ეფექტური გოლი გაიტანა — 2:1 —ასე დამთავრდა პირველი ტაიმი.

მეორე ნახევარიც „ბათუმის“ იერიშებით დაიწყო და მ. მახარაძის თავური დარტყმა ძელმა მოიგერია. მიმდინარეობდა შეხვედრის 55-ე წუთი, როცა მეკარესთან პირისპირ გასული ტუღუში ჩოჩიევმა აკრძალული ილეთით შეაჩერა. 11-მეტრიანი ზუსტად დაარტყა დურდიაძემ — 3:1. ამან გორელები გააქტიურა. მე-60 წუთზე მინდორზე ახლადშემოსულმა ბალაბანოვმა ისარგებლა მცველთა შეცდომით და გაიტანა გოლი — 3:2.

მასპინძლები კვლავ სწრაფად ამოქმედდნენ, ზედიზედ შექმნეს რამდენიმე სახიფათო მომენტი და 83-ე წუთზე, დაახლოებით 20 მეტრის მანძილიდან, ზედანიამ ძლიერი დარტყმით ულამაზესი გოლი გაიტანა — 4:2. დარჩენილ დროში ბათუმელები კვლავ უტევდნენ, მაგრამ ანგარიში არ შეცვლილა.

მუხრან კობალაძე,
„ლელოს“ ხაკ. კორ.

„იბერია“ — „გორდა“. ა. კოტორაშვილის ფოტო.

„კოლხეთი-1913“ (ფოთი) — „მზიური“ (ბალი) 4:1 (1:0)

კოლხეთი. „ფაზისის“ სტადიონი. 9 აგვისტო.

„კოლხეთი-1913“: მიქავა, კაკაჩია, ჭაჭაია, გიორგაძე, გიგატაძე (ქორჩილავა), შამათავა, თოფურია, მახარაძე, ჭყონია (ფვანია), თვარაძე (ავრამიდისი), ბაჯალაძე.

„მზიური“: ა. ჩხეტია, ა. კვეკვესკირი, ფარფალია, კაკავა (ღურწკაია), ხურცილავა, გაბისონია, ჯლარკავა (ეთერია), დ. ჩხეტია, ბალტუშნიკანი, ხარჩილავა, ჭანთარია.

მსაჯები: თ. ლაცაბიძე (თბილისი), გ. მიქაუტაძე, პ. დოგრაშვილი (ორივე — ქუთაისი).

შეხვედრა გალელთა უპირატესობით დაიწყო. ფოთელები კონტრშეტევების იმედად იყვნენ და ამ „ფანდმა“ მათ გაუმართლათ კიდეც — მე-20 წუთზე თვარაძემ გახსნა ანგარიში. 61-ე წუთზე საპასუხო გოლი გაიტანა დ. ჩხეტიამ. ამან გამოაფხიზლა მასპინძლები და 75-ე წუთზე დ. მახარაძემ საჯარიმო დარტყმით დაიწინაურა თანაგუნდელები. 82-ე წუთზე ისევ თვარაძემ, კვლავ საჯარიმო დარტყმით გაზარდა ანგარიში — 3:1, ხოლო მატჩის მიწურულს, 87-ე წუთზე, გიორგაძე-თოფურიას კომბინაცია დამთავრდა ამ უკანასკნელის მიერ გატანილი გოლით. 4:1 —გაიმარჯვეს ბასპინძლებმა.

ბრისტან ზანია,
„ლელოს“ ხაკ. კორ.

„მერცხალი“ (ოზურგეთი) — „ოდიში“ (ზუგდიდი) 2:2 (2:1).

ოზურგეთი. ცენტრალური სტადიონი. 8 აგვისტო.

„მერცხალი“: ზოიძე, ხამაშურიძე, ათუაშვილი, ბერიშვილი, კალატოზიშვილი, ბარამძე, ჩხაიძე, კალანდაძე, თეთრაძე, ნახუაშვილი, ჩიგოგიძე.

„ოდიში“: კანტარია, კვიტატიანი, ნადარაია შვილი, თუთბერიძე, ჯავაშვილი, ჯიქია, მალანია (ვანეიკინი), შეროზია (ტიბუა), ბიგვავა, ზ. ინჩუსი, თევზაძე.

მსაჯები: მ. კობიაშვილი (დუშეთი), დ. მენთეშაშვილი, ა. შილაკაძე (ორივე — თბილისი).

მოედნიდან გააძევეს ჯიქია („ოდიში“).

ამ მატჩში ორი განსხვავებული ტაიმი ვიხილეთ. პირველ ნახევარში მასპინძლებმა აშკარად აჯობეს მეტოქეებს, მეორეში კი სტუმრებმა იძალეს და საწადელს — გარდატეხა შეეტანათ თამაშში — მიაღწიეს კიდეც.

შეხვედრის მე-5 წუთზე ჯ. კალანდაძემ დაიწინაურა „მერცხალი“. ტაიმის მიწურულამდე ანგარიში არ შეცვლილა, 42-ე და 43-ე წუთებზე კი ერთბაშად ორი გოლი გავიდა: ჯერ ო. თეთრაძემ გაიტანა მეორე ბურთი „ოდიშის“ კარში, შემდეგ ზუგდიდელმა მ. შეროზიამ გამოიყენა „მერცხალის“ საჯარიმო მოედანზე მის წინააღმდეგ უხეში თამაშისთვის დანიშნული პენალტი.

როგორც ითქვა, მეორე ტაიმი წარიმართა ზუგდიდელთა უპირატესობით, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა მელორ ბიგვავა. ამ მატჩში უკანასკნელი, „საყაიმო“ გოლი სწორედ მისი ზუსტი და დროული გადაცემის წყალობით გავიდა — ხელსაყრელ სიტუაციაში იმარჯვა ტიუბამ — 2:2.

ნუგზარ ასათიანი,
„ლელოს“ კორ.

სხვა მატჩები

ტურის სხვა შეხვედრები დამთავრდა ასეთი შედეგებით: „ივერია“ (ხაშური) — „სამგურალი“ (წყალტუბო) 1:2, „ქუთაისი“ (ქუთაისი) — „შევარდენი-1906“ (თბილისი) 3:1, „სანავარდო“ (სამტრედია) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 1:1. სოხუმის „ცხუმისა“ და ხობის „კოლხეთის“ შეხვედრა გადაიდო და შედგება 27 სექტემბერს.



მიხეილ მესხის დაბადებიდან 50 წელი

ქართული ფეხბურთის ისტორიით სამართლიანად ამაყობს ჩვენი ხალხი. ამისმაც არის, რომ ყველაფერს, რაც ჩვენს ფეხბურთს, მის წარსულს ეხება, დიდი ინტერესით ეტყობა. გულშემატკივარი. ფეხბურთის თაყვანისმცემლები კარგად იცნობენ დიდი ლოლაძეს. მის მიერ ამოცემული საფეხბურთო ლიტერატურა, პირველი ოლიმპია, ყურადღებას იპყრობს იმით, რომ უხვად ილუსტრირებული, სიტყვაზე უკეთ კი წარსულგაცოცხლებული ეპიზოდი აღაფრთოვანებს ფეხბურთის ქომაგს. ახლა კიდევ ერთი კარგი საჩუქარი გველის.

დემიკო ლოლაძემ და „ლელოს“ თანამშრომელმა, ფოტოჟურნალისტმა ალეკო კოტორაშვილმა ერთად გააცოცხლეს ერთ კადრში ერთი სახელოვანი ფეხბურთელის — მიხეილ მესხის საფეხბურთო ცხოვრება, დაგვაბრუნეს იმ საუკუნეში, როცა მესხის ოსტატობით გაამაყებულები, თავაწეულნი დავდიოდნენ თამაშებზე.

ამ შვენიერ ალბომში, რომელიც ავტორთა ხარჯით გამოვიდა, დიდი ეთმობა, აგრეთვე, მ. მესხის დაბადებიდან 50 წლისთავის აღსანიშნავ ზეიმს თბილისის სპორტის სასახლეში.

ალბომი ამ დღეებში გაიყიდება მხოლოდ თბილისში, საფირმო მაღაზია — „მერანში“. ფასი 4 მან.

„ლელოს“ ფოსტიდან

მორიგი „ფინტი“—მორიგი რევრესია

გულისტკივილით წავიკითხე 21 ივლისის „ლელოში“ დაბეჭდილი წერილი — „თავმჯდომარის მორიგი „ფინტი“ — სსრკ ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარის ვ. კოლოსკოვის, ამ საკავშირო საფეხბურთო დიქტატორისა და ბიუროკრატის, მორიგი რევრესია ქართული ფეხბურთის მიმართ. ამ ორმოცდაათიანი წლების კომპლექსით მოაზროვნე ადამიანის ხელმძღვანელობის ნაყოფი წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატზე „გამობრწყინდა“. სწორედ ასეთი დონის ფეხბურთის სპეციალისტების თავმოყრამ ფეხბურთის ფედერაციაში დაასამარა საბჭოთა ფეხბურთი. „საბჭოთაო“ გწერთ იმიტომ, რომ შენი მეზობლის სახლში გაჩენილ ჭირს თუ უდარდელად მოეკიდე, შეიძლება მან რამდენიმე დღეში შენს ოჯახშიც ამოყოს თავი. როგორც სტატიიდან ირკვევა, ვ. კოლოსკოვი ფეხბურთელი არასოდეს ყოფილა და, აბა, რას უნდა მოელოდეს მისგან საფეხბურთო სამყარო. მოგეხსენებათ, ხელმძღვანელად შემთხვევით მოხვედრილ ყველა პიროვნებას დიქტატორად მოაქვს ხოლმე თავი.

საპირველ მიმახნია, რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაციამ პროტესტით მიმართოს სადაც ჯერ არს, რომ ასეთნაირად მოაზროვნე „სპეციალისტის“ ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარედ და ფიფა-ს ვიცეპრეზიდენტად ყოფნა საერთოდ ფეხბურთის და გულშემატკივრების შეურაცხყოფაა.

ბ. ყოლბაია.

ბალი.

სსრ კავშირის
პირველობა ფეხბურთში

ბაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის შეხვედრები უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის: „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „შახტიორი“ (დონეცკი) 0:0, „დინამო“ (მოსკოვი) — ცსკა 0:0.

I ლიგა

„დინამო“ (ხოხუმი) — „კაირატი“ (ალმა-ათა) 0:0

ხოხუმი. ცენტრალური სტადიონი. 8 აგვისტო.

„დინამო“: ოვჩინნიკოვი, ხაბიტოვი (ს. თარხა), შეპტიცკი, დობაშინი, თ. [illegible] (ჩეკუნოვი), ენიკეი, კვარაცხელია, ახვლედიანი, ხმირნოვი, ტუნკინი (ნოსკოვი), ხაგბა.

„კაირატი“: გროზდოვი, ახმედოვი, პინჩუკოვი, ნეიშტეტერი, ხლამბეკოვი, ხარტკაკოვი, ბოგატირიოვი, ხალიმოვი, ი. პოპანდოპულო, კევეროვი, კლიმოვი (კარიეევი, ჰამანოვი).

მსაჯი ნ. ლევნიკოვი (ლენინგრადი).

გააფრთხილეს: ა. ბოგატირიოვი („კაირატი“), დ. ახვლედიანი („დინამო“).

გაიმართა, აგრეთვე, I ლიგის გუნდების მორიგი ტურის მატჩები: „ყუბანი“ (კრასნოდარი) — „ფეხოთამქორი“ (ტაშკენტი) 0:1, „ზენიტი“ (ლენინგრადი) — „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი) 4:1, „ნეფთჩი“ (ბაკო) — „დინამო“ (სტავროპოლი) 1:0, „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „ლოკომოტივი“ (გორკი) 6:1, „გეოლოგი“ (ტიუმენი) — „კოტაიკი“ (აბოვიანი) 2:0, „შინიკი“ (იაროსლავლი) — „სპარტაკი“ (ვლადიკავკაზი) 0:2, „ნისტრუ“ (კიშინიოვი) — „ფაკელი“ (ვორონეჟი) 1:0, „ტავრია“ (სიმფეროპოლი) — „კუზბასი“ (კემეროვო) 2:0, „ტირასი“ (ტირასპოლი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 1:0.

მსოფლიოს რეკორდსმენი ჯერ მსოლოდ მეოთხეა

მოსკოვი. ველოსიპედისტთა ზაფხულის წლევანდელ საკავშირო ჩემპიონატს, რომელიც კრილატსკის ოლიმპიურ ტრეკზე მიმდინარეობს, საკმაოდ პრინციპული მნიშვნელობა აქვს. აქ გამარჯვებულ სპორტსმენთა ბაზაზე შეიქმნება ქვეყნის ახალი ნაკრები, რომელიც ორი კვირის შემდეგ იაპონიაში მსოფლიო ჩემპიონატზე იასპარეზებს. ცხადია, ტურნირის მონაწილენი ძალებს არ ზოგავენ წარმატების მისაღწევად და ბევრ შემთხვევაში, მაღალ შედეგებსაც აჩვენებენ.

ასე, მაგალითად: 18 წლის ტულელმა ველოსიპედისტმა ალექსანდრე ხრომინმა 500 მეტრზე გიტში (სვლით) 26,969 წამი აჩვენა და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. ძველი რეკორდი (27,745) ეკუთვნოდა ვლადიმერ სტრახოვს (1987 წ.).

4 კილომეტრზე გამოდევნებით ინდივიდუალურ რბოლაში ვაჟთა შორის ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა ლენინგრადელმა ევგენი ბერზინმა — 31,413.

როგორც ვიუწყებოდით, ამ ჩემპიონატზე თბილისელმა ვლადიმერ ადამაშვილმა ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა 200 მეტრზე გიტში. შემდეგ ქართველი ველოსიპედისტი სპრინტერთა ასპარეზობაში ჩაება. მან ნახევარფინალამდე მიაღწია და, საბოლოოდ, მეოთხე ადგილი დაიკავა. ჩემპიონი კი მოსკოველი ნიკოლოზ კოვში გახდა, რომელმაც დამაჯერებლად მოუგო ფინალური ბრძოლა ტულელ ვლადიმერ სტრახოვს. ბრინჯაოს მედალი მოსკოველმა ალექსი ზინოვიევმა დაისაკუთრა.

ვლადიმერ ადამაშვილს, ცხადია, უკეთ გამოსვლაც შეუძლია. საამისოდ მას აქვს სისწრაფეც და კარგი ფიზიკური მონაცემებიც. მაგრამ სპრინტში არანაკლები მნიშვნელობა აქვს ტაქტიკური მანევრირების უნარს, რაც, უმთავრესად, გამოცდილების დაგროვების გზით მიიღწევა. ახლა მთავარი ყურადღება ამას უნდა მიექცეს.

„სოკერი-94“ — თამაში ამერიკულად

ორი წლის წინათ ციურიხიდან მთელ მსოფლიოს აუწყეს, რომ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის აღმასკომმა 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის ჩატარება ამერიკის შეერთებულ შტატებს დაავალა. ამ უფლებისათვის აგრეთვე იბრძოდნენ მაროკო და ბრაზილია. მაროკოელები იმედს იმაზე ამყარებდნენ, რომ ასეთი რანგის საფეხბურთო ზეიმი პირველად გაიმართებოდა აფრიკის კონტინენტზე. ბრაზილიელები კი თავიანთი ქვეყნის საფეხბურთო ტრადიციებისა და დიდების იმედით იყვნენ. თუმცა, მათ ოცნებას არ ეწერა ახდომა. ფარული კენჭისყრის შედეგად მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლად „განვითარებადი საფეხბურთო ქვეყანა“ — აშშ აირჩიეს, მაროკომ მიიღო შვიდი ხმა, ბრაზილიამ — ორი.

პელე წინააღმდეგი იყო ბრაზილიის კანდიდატურისა. რატომ? კითხვაზე პასუხის გასაცემად თვალი უნდა გაადევნოთ ამერიკის შეერთებული შტატების ფეხბურთის უახლეს ისტორიას. სადღეისოდ სოკერი, როგორც იქ ევროპულ ფეხბურთს უწოდებენ, ყველაზე პოპულარული სახეობას განეკუთვნება. სპორტული საქონლით მოვაჭრე ამერიკული ასოციაციის მონაცემების თანახმად, თითქმის ათი მილიონი ამერიკელი თამაშობს სოკერს, ამასთან მათ მესამედს ქალები შეადგენენ. ევროპული ფეხბურთი განსაკუთრებით პოპულარულია ახალგაზრდებში, უპირველესად კი, მოსწავლეებში. მაგრამ აქ ერთგვარი წინააღმდეგობა იქმნება: ერთი მხრივ, ძალზე ფართოდ არის გავრცელებული ახალგაზრდებისა და სტუდენტთა ფეხბურთი, მაშინ, როცა პროფესიული ფეხბურთი სულს ღაფავს. 1968 წელს გაერთიანებული ფეხბურთის ასოციაციისა და ფეხბურთის ჩრდილოამერიკული ლიგის შერწყმით შეეცადნენ სოკერის წამოწევას და დამკვიდრებას ამერიკის პროფესიული სპორტის იმ სამეულში, რომელსაც მუდმივი მოგება მოაქვს. ყველაზე მეტად, ამ მხრივ, სამოცდაათიანი წლების შუალედია აღსანიშნავი, როცა ფინანსურმა ბოსებმა ყოველი ღონე იხმარეს, რათა უმაღლესი ჰონორარების მიღების ცდუნებით აშშ-ში შეეტყუებინათ ისეთი „გადამდგარი“ ვარსკვლავები, როგორებიც არიან პელე, ბეკენბაუერი და სხვები. მათი დახმარებით შესაძლებელი გახდა ათი ათასობით მაყურებლის სტადიონებზე მიზიდვა, რამაც მრავალი კლუბის ფინანსური მდგომარეობა გაუმჯობესა. 1978 წელს ნიუ-იორკის „კოსმოსის“ თითოეულ მატჩს რეგულარულად ესწრებოდა 77640 მაყურებელი — ეს იმ დროისათვის სავსებით საკმარისი გახლდათ თავის გასატანად სპორტის სხვა სახეობებსა და სანახაობებთან იმ უმძაფრეს კონკურენციაში, რომლითაც ასე მდიდარია შეერთებული შტატები.

1985 წელს, პროფესიული ლიგის გაკოტრების შემდეგ, ბიზნესმენები გადაერთვნენ მინი-ფეხბურთზე, დარბაზებში მოთამაშე ექვსკაციან გუნდებს შორის რომ იმართება. ამჟამად ქვეყანაში მინი ფეხბურთის ორი ლიგაა. ერთში 11 კლუბია, მეორეში — 5. ტურნირების ჩატარება საერთო ამერიკული ლიგის ჩარჩოებში განზრახულია 1994 წლიდან.

მსოფლიოს ჩემპიონატებმა და ოლიმპიურმა თამაშებმა დიდი ხანია ნათელჰყო, რომ ფეხბურთი, პოპულარობის გამო, შეიძლება წარმატებით გამოვიყენოთ რეკლამის მიზნით. გვარიანი შემოსავლის მიღება შეიძლება სატელევიზიო რეპორტაჟებისა და სარეკლამო უფლებების გაყიდვით, ემბლემებისა და სხვა სიმბოლური ნიშნების კომერციული მიზნით გამოყენებით. სწორედ ამან აფიქრებინა ამერიკის საქმიან წრეებს ფეხბურთის ჩართვა სანახაობით — სარეკლამო ბიზნესის გიგანტურ სისტემაში, ხოლო 1994 წელს ამერიკაში გამართული მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირი სოკერს საბოლოოდ დაამკვიდრებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა საქმიანობასა და ინტერესთა სფეროში. აღსანიშნავია, რომ მომავალი ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეა შეერთებული შტატების ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჰენრი კისინჯერი.

თავისი პრეზიდენტობის პერიოდში რონალდ რეიგანმა არაერთხელ განაცხადა, რომ მთავრობა მხარს უჭერს 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის აშშ-ში გამართვას. და ბოლოს, ორგანიზატორებს მოსვენებას არ აძლევს მაცდუნებელი ფინანსური პერსპექტივები — ჯერ მარტო ბილეთების გაყიდვით მიღებული შემოსავალი 150 მილიონ დასავლეთგერმანულ მარკას მოუტანთ.

საკმაო შემოსავალს მოელიან რეკლამისგანაც, თუმცა სადღეისოდ აშშ-ში სარეკლამო „ტორტი“ განაწილებულია კეტბურთს, ამერიკულ ფეხბურთს, კალათბურთსა და ჰოკეის შორის.

სავარაუდოა, რომ გრანდიოზულ კომერციულ გეგმებთან ერთად აშშ-ის ეროვნული გუნდი ყველაფერს იღონებს შინ წარმატების მოსაპოვებლად. სრულიად ბუნებრივია, რომ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის საქმიანობაც უფრო აქტიური და ორგანიზებული ხდება, განსაკუთრებით ჭაბუკთა და საკლუბო ფეხბურთის სფეროში.

შარშან, ბრაზილიაში სამკვირიან სასწავლო-საწვრთნელ შეკრებაზე პირველად გაგზავნეს თექვსმეტი წლის პერსპექტიული ფეხბურთელები. საუდის არაბეთში გამართულ ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატზე სპეციალისტებმა ერთხმად აღნიშნეს მზარდი ოსტატობა ამერიკელი ფეხბურთელებისა, რომლებმაც ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს (ამასთან, გუნდს კორექტულობის სპეციალური პრიზიც მიენიჭა). სათანადოდ უნდა შეფასდეს შეერთებული შტატების გუნდის მიერ მოპოვებული მესამე ადგილი დარბაზებში გამართულ პირველ მსოფლიო ჩემპიონატში. ამას ემატება ისიც, რომ აშშ-ის ნაკრებმა ღირსეულად ჩაატარა იტალიის მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო შესარჩევი ტურნირი და ფინალურ ტურნირში მონაწილეობის უფლება მოიპოვა. მილანის „ინტერნაციონალეს“ მწვრთნელს ჯოვანი ტრაპატონის ერთობ მაცთუნებელი წინადადება მისცეს — სათავეში ჩასდგომოდა და 1991-1994 წლების პერიოდში მსოფლიო ჩემპიონატისთვის მოემზადებინა ამერიკის ნაკრები.

და მაინც, ალბათ, ამერიკის შეერთებულ შტატებში ამ გრანდიოზული საფეხბურთო დღესასწაულის ჩატარებისაგან პირველ ყოვლისა, გვარიანი შემოსავლის მიღების იმედი აქვთ. ამასთან დაკავშირებით, ერთგვარად დამაფიქრებელია ფიფა-ს პრეზიდენტის ჟოაო აველანჟის ერთი განცხადება. მან აღიარა, რომ აშშ-ის მიერ მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების უფლების მოპოვება სამხრეთამერიკელ ფეხბურთელებს „გიგანტურ ბაზარზე“ გასვლის შესაძლებლობას მისცემს...

მოამზადა ბელა ჯიღაურმა

ასეთ სურათს ყოველდღიურად ნახავთ ქალაქ კოტბუსის (გდრ) ქუჩებში. სტატისტიკური მონაცემებით, აქ 1000 მოსახლეზე 775 ორთვლიანი „მანქანა“ მოდის. მიუხედავად იმისა, რომ ამ ადმინისტრაციული ოლქის ცენტრში საზოგადოებრივი ტრანსპორტის (ავტობუსი, ტრამვაი) ქსელი საკმაოდაა განვითარებული, მოქალაქეთა მეტი ნაწილი არჩევს გადაადგილების ამ სახარგებლო ვარიანტს. თუმცა არის ერთი „მაგრამ“: ქალაქის გზების სიგრძესთან (235 კილომეტრი) შედარებით საველოსიპედო ტრასა ერთობ მცირეა — სულ 31 კილომეტრი.

ადნ-საკდესის ფოტო.

უპატრონო ლიმუზინები

სესტრიერი იტალიის საკურორტო ქალაქია ალპებში, რომელსაც მთელი წლის განმავლობაში უამრავი ტურისტი ეტანება. აქ ამ დღეებში ზღვის დონიდან 2203 მეტრის სიმაღლეზე ახალი სტადიონი გაიხსნა. მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ ამ მაღალმთიან ბაზაზე საინტერესო შეჯიბრება ჩაატარა იმის იმედით, რომ რამდენიმე მსოფლიო რეკორდი მაინც დაემხობოდა. ორგანიზატორებმა ყოველი ასეთი შედეგისთვის დააწესეს საკმაოდ ძვირფასი პრიზი — „ფერარის“ ფირმის ბოლო მოდელის ლიმუზინი — „ტესტაროსა“, რომელიც 200 ათასი დოლარი ღირს.

შეჯიბრებისთვის გულმოდგინედ მოემზადა კეთილი ნების თამაშების ჩემპიონი სპრინტში, ამერიკელი ლეროი ბარელი, რომელსაც მიმდინარე სეზონში 100-მეტრიან დისტანციაზე საუკეთესო შედეგი აქვს ნაჩვენები. მან სპეციალური ვეგეტარიანული დიეტით რამდენიმე ზედმეტი კილოგრამიც კი დაიკლო, მაგრამ თანამემამულის კარლ ლუისის მსოფლიო რეკორდის გაუმჯობესება მაინც ვერ შეძლო. მიმომხილველთა აზრით, ბარელს ხელი შეუშალა ჰაერის ტემპერატურამ (15 გრადუსი სითბო) და ქარმა. ამერიკელმა პირველი ადგილი დაიკავა, თანაც საკმაოდ კარგი შედეგით (9,96), მაგრამ მსოფლიო რეკორდი ხელუხლებელი დარჩა.

სხვათა შორის, მიზანთან ახლოს იყო მეორე ამერიკელი სპრინტერი მაიკლ ჯონსონიც, მაგრამ 200 მეტრზე რბენაში მან საბოლოოდ 19,88 წამი აჩვენა, რაც სარეკორდო შედეგზე უარესია. გულდასაწყვეტია, რომ ძვირფას ლიმუზინებს პატრონი ამჯერად არ გამოუჩნდა.

მსოფლიო ჩემპიონი — მსოფლიოს ნაკრები

მალე გაიმართება ტრადიციული საფეხბურთო მატჩი მსოფლიო ჩემპიონსა (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) და მსოფლიოს ნაკრებ გუნდს შორის. ამის თაობაზე ცნობა გამოაქვეყნა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ, მატჩი საქველმოქმედო მიზანს ემსახურება.

ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება ამ ორი გუნდის ხელმძღვანელებს შორის. შეხვედრის თარიღი გამოცხადდება.

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა უ. ჭიჭინაძე. კორექტორები ც. ჩიტიშვილი და ე. ხომერიკი.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55, სამდივანი — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54, „მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი: 66435

საქართველოს კპ ცკ-ის ჟამთმცენელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ხტამბა. 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14, ბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ბოშარიულის, 29.

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20

... ბურთამდე

გულშემატკივრ

უშველ

გუინოს-აირესი. კალათბურთ
ვაჟთა აქ დაწყებულ მსოფლიო
მპიონატში არის ერთი სიახლე
მელმაც, წესით, არბიტრები
დაიცვას მწვრთნელთა და სათა
გო მოთამაშეთა „თავდასხმებ
საერთაშორისო ფედერაციის
რესის წინადადებით, მოედანზ
მოიყო ე. წ. „მწვრთნელის ლ
ამ ზონიდან გასვლა მწვრთნელ
და სათადარიგო მოთამაშეებს
კვალიფიკაციით ემუქრება.

სასტარტო მატჩი საბჭოთა
რებს (IV ჯგუფი) ჩემპიონატის
პინძლებთან ჰქონდათ. გულშემ
ვრების მხარდაჭერის მიუხედ
არგენტინელები დამარცხდნენ 77
(33:44). გამარჯვებულ გუნდში
უკეთესო შთაბეჭდილება დატ
უცხოეთში მოთამაშე კალათბურ
ლებმა — ვოლკოვმა, ბელოსტენინ
სოკმა. მასპინძელთა შორის უძ
ერესი მილანესი იყო. ამ ჯგუ
მეორე მატჩში კანადამ დაამარ
ეგვიპტე — 83:68.

გთავაზობთ სხვა შეხვედრათა
დეგებს: I ჯგუფი. იუგოსლავ
ვენესუელა 92:84, პუერტო-რ
— ანგოლა 78:75. II ჯგუფი. ავ
რალია — ჩინეთი 106:85, ბრა
ლია — იტალია 125:109. III ჯ
ფი. აშშ —საბერძნეთი 103:95, ეს
თი — სამხრეთ კორეა 130:101.

ჯგუფური შეჯიბრებების შემ
13-15 აგვისტოს მეოთხედფინალ
რი ტურნირები. ჩატარდება.
ხევარფინალური მატჩები გაიმ
თება 17 აგვისტოს, თამაში მეს
ადგილისთვის — 18 აგვისტოს, ფ
ლი კი — ერთი დღის შემდეგ.

მეორე ტურში მოულოდნ
არაფერი მომხდარა. პირველი ჯ
ფი. იუგოსლავია — ანგოლა 92:7
პუერტო-რიკო — ვენესუელა 88:
მეორე ჯგუფი. ბრაზილია — ჩინ
თი 138:95, იტალია — ავსტრალ
94:89; მესამე ჯგუფი. საბერძნ
— ესპანეთი 102:93, აშშ — სამხ
კორეა 146:67; მეოთხე ჯგუფი. ს
კავშირი — ეგვიპტე 102:76, არგ
ნტინა — კანადა 96:88.

ანტიკურ

გარემოს

როგორც ფრანს პრესის საგ
ნტოს კორესპონდენტი იუწყება,
ციელამ გადაწყვიტა წამოაყენ
თავისი კანდიდატურა 2004 წ
ოლიმპიური თამაშების სამასპინ
ლოდ. ასეთი დადგენილება მიიღ
კუნძულის საპარლამენტო ჯგუფ
რეგიონალურმა ასამბლეამ. სიცი
ლიის მთავრობას წინადადება მი
ცა შეადგინოს საინიციატივო კ
მიტეტი, რომელიც სპორტულის გ
რდა დაამუშავებს ეკონომიკურ,
ციალურ და პოლიტიკურ პრობლ
მებს.

დეპუტატების წინადადებით, სპ
რტული შეჯიბრებები ანტიკურობ
უნდა დაუკავშირონ: მარათონელ
ტრასა, მაგალითად, აგრიჯენტეს
ძრების ველს გაუყვება, მოქიდ
ვეთა ტურნირი ჩატარდება სირაკუ
ზში ძველბერძნული თეატრის ტ
ორმინას სცენაზე, ხოლო ველოსი
პედისტები ერთმანეთს შეჯიბრ
ბიან პელეგრინოს მთის ტრასაზ
რომელიც პალერმოს გადაჰყურებ
და ქალაქის ერთ-ერთ მთავარ ღ
სშესანიშნაობად ითვლება.

რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძ